Funded by the European Union

ევროპული სკოლა საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.01.2021 - 15.03.2026

EaP ქვეყნები:
საქართველოს

ევროკავშირის წვლილი: € 9 400 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 9 400 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
UNOPS

პროექტის აღწერა:

პროექტი „ევროპული სკოლა საქართველოში“ (ფაზა II) 2021 წელს დაიწყო. როგორც ფლაგმანი პროექტი, ის საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს და მორგებულია საშუალო განათლებაში ახალგაზრდების საჭიროებებზე.

პროექტი ევროკავშირის ფართო ინიციატივაა, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) მოსწავლეებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას. ის „აღმოსავლეთ პარტნიორობა – 20 შედეგი 2020 წლისთვის“, ერთ-ერთი შედეგია. პროექტი მიზნად ისახავს როგორც ურთიერთთანამშრომლობის, ტოლერანტობისა და ფუნდამენტური ფასეულობების გაღრმავება-გააზრებას, ასევე რეგიონში ევროკავშირის როლისა და ჩართულობის უკეთ გაგებას.

პროექტის მეორე ეტაპი გულისხმობს საქართველოში ევროპული სკოლის დაარსებას, რომელიც ღია იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნის მოსწავლისთვის. სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს ორი მიმართულების სადიპლომო პროგრამას (ქართულსა და საერთაშორისო ბაკალავრიატს). ორივე სადიპლომო პროგრამა დაფუძნებული იქნება მაღალი ხარისხის სწავლებაზე, ენების შესწავლასა და მულტიკულტურულ განათლებაზე.
სკოლა მომავალ წლებშიც ითვალისწინებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპულ სასტიპენდიო პროგრამას აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნის მოსწავლისთვის. ევროპული სკოლა საქართველოში იქნება სანიმუშო სკოლა საჯარო

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის მოსალოდნელი შედეგები მოიცავს:

1. სკოლის კომპლექსის აშენებას და აღჭურვას;
2. მოსწავლეების შერჩევის და მიღების სქემის, მარკეტინგული გეგმის, სკოლის მმართველობის, ფინანსური და ორგანიზაციული მართვის სტუქტურების შექმნასა და განხორციელებას;
3. სასწავლო აკადემიის მეშვეობით სწავლების პროგრამის შემუშავებას და იმ პროცედურების ხელმისაწვდომობას, რომელთა დახმარებითაც მოხდება მასწავლებლების შერჩევა, დასაქმება და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარება;
4. მაღალი ხარისხის სასწავლო გეგმის შემუშავებას, დანერგვასა და ავტორიზაციას სკოლის ორი მიმართულებისთვის (საერთაშორისო ბაკალავრიატი და ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც ევროპული სწავლებაა ინტეგრირებული);
5. აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნის მოსწავლეებისთვის ევროპულ სკოლაში საქართველოში, ევროპულ სწავლებაზე ორიენტირებული საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის სასტიპენდიო სქემის შექმნასა და ხელმისაწვდომობას. ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის (IB DP) ხელმისაწვდომობას აღმოსავლეთ სამეზობლოს ექვსივე ქვეყნის მოსწავლეებისთვის.